საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება №76

2025 წლის 17 ივლისი

ქ.თბილისი

საქართველოს საერთო სასამართლოებში ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღების, ტრანსლაციის და აუდიოჩაწერის უკანონოდ განხორციელების პრევენციის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13^1 მუხლის მე-2 პუნქტით დაწესებული აკრძალვების აღსრულების მიზნით, ამავე ორგანული კანონის 59-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს საერთო სასამართლოებში ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღების, ტრანსლაციის და აუდიოჩაწერის უკანონოდ განხორციელების პრევენციის თანდართული წესი.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს მდივანი **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**